პარშავა. საუსებით ვუჭერთ მხარს ჩილეს გმირ ახალგაზრდობასთან და გმირ ხალხთან სოლიდარობის მოძრაობას, რომელიც მთელ მსოფლიოში გაიმალა. მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ჩილესა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის თავლსაჩინო მოღვაწე, ჩილეს კომპარტიის გენერალური მდივანი ლუის კორვალანი და სხვა პოლიტიკური პატიმრები, ხაზგასმულია რეზოლუციაში, რომელიც მიიღეს პოლონეთის ახალგაზრდობის ჩრავალათასიანი მიტინგის მონაწილეებმა.

ბერლინი. ბრძოლა ლუის კორვალანისა და სხვა ჩილელ პატრიოტთა განთავისუფლებისათვის ახლა ჩილელი კომუნისტებისა და ყველა დემოკრატის ცენტრალური ამოცანაა. ჩილეში დემოკრატიულ უფლებათა აღდგენისათვის ბრძოლაში ახლა მონაწილეობენ მთელი პროგრესული ძალები. განაცხადა ჩილეს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტკომისიის წევრმა ორლანდო მილიასმა ბერლინის საზოგადოების მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა ჩილეს კომუნისტური პარტიის შექმნის 54-ე წლისთავს და კომპარტიის დამაარსებლის ემილიო რეკაბარენის დაბადების მე-100 წლისთავს.

ლონდონი. „ვერც ერთი ხალად მოაზრთვნე ადამიანი გულგრილად ვერ მოეკიდება დანაშაულს, რომელსაც ჩილეს ხუნტა სჩადის", — წერს ინდოლისის „მორნინგ სტარი". გაზეთმა გამოაქვეყნა სტატია ჩილეს მდგომარეობის შესახებ, რომელშიც მრავალრიცხოვანი მაგალითებით მხილებულია პინოჩეტის რეჟიმის დანაშაული.

„მორნინგ სტარი" აღნიშნავს, რომ ადალათების ხელშია ათასობით ჩილელი, მათ შორის, ისეთი შესანიშნავი პატრიოტები, როგორიცაა ლუის კორვალანი, სახალხო ერთიანობის მთავრობის თავლსაჩინო მოღვაწეები ანიბალ კალმა, კედრო რამირესი, ხოსე კადემარტორი და მეორი სხვა. მათი სიცოცხლე საფრთხეშია. „მორნინგ სტარი" მოითხოვს ხუნტის ტყვეთა დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

ახალი სკანდალი

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო დასავლეთ ევროპაში

ვაშინგტონი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ღვივდება ახალი პოლიტიკური სკანდალი, რაც გამოწვეულია იტალიის საშინაო საქმეებში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჩარევის მხილებით. პრესა იუწყებოდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებს იტალიის ბურჟუაზიულ პარტიებს, რათა განამტკიცოს მათი პოზიციები იტალიის კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ ბრძოლაში. როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" უწერია, „ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ სულ ცოტა 6 მილიონი დოლარი გადასცა იტალიის ცალკეულ ანტიკომუნისტურ პოლიტიკურ ლიდერებს".

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი საქმიანობის ახალმა მხილებამ ვაშინგტონი გამოიზიანა. თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი „განრისხებულია" ამ ცნობების გამო, რომლებიც, მისი სიტყვით რომ ვთქვათ, „ზიანს აყენებენ ამერიკის საგარეო პოლიტიკას". ეს განცხადება პრესას მიაჩნია იმის შენიღბულ აღიარებად, რომ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო აფინანსებს იტალიის ანტიკომუნისტურ პარტიებს. ამ ფაქტების დადასტურებად მიაჩნიათ ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის უ. კოლბის გამონათქვამები, რომ „მას უფლება არა აქვს ილაპარაკოს" იტალიის ბურჟუაზიული პარტიების დაფინანსების გეგმების დეტალებზე.

როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" წერს, მთავრობა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო გაფაციცებით დაეძებენ იმას, ვინც გაახმაურა ეს ფაქტები.

სამოქალაქო ომის ზღვარზე

ლონდონი. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიელი პროტესტანტი ექსტრემისტები სამოქალაქო ომით იმუქრებიან, თუ ლონდონი მათ სასარგებლოდ ახალ დათმობებს არ დათანხმდება.

პროტესტანტ ულტრათა ყველაზე დიდმა გასამხედროებულმა ორგანიზაციამ „ოლსტერის დაცვის ასოციაციამ" გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც ხაზგასმულია, ჩრდილოეთ ირლანდიაში აშკარა შეიარაღებული კონფლიქტი მხოლოდ „დროის საკითხია".

პრემიერ-მინისტრმა ჰ. ვილსონმა ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ სამოქალაქო ომი გამოიწვევს ნგრევას ჩრდილოეთ ირლანდიაში. ამავე დროს იგი ცდილობდა გაემართლებინა მთავრობის გადაწყვეტილება ჩრდილოეთ ირლანდიაში სპეციალური ავიასადესანტო სამსახურის ქვეგანაყოფების გაგზავნა. ამ გადაწყვეტილებამ საზოგადოებრიობის ენერგიული პროტესტები გამოიწვია როგორც ჩრდილოეთ ირლანდიაში, ისე ინგლისში, რადგან ქვეგანაყოფებს, რომლებიც დასპეციალებული არიან სადივერსიო და ძირგამთხრელ ოპერაციებზე, გამოიყენებენ არა პროტესტანტი ულტრების ასალაგმად, არამედ სამოქალაქო უფლებებისათვის ოსტერელი ხალხის ბრძოლის ჩასახშობად.

ა. ჰადამი უარყოფს

კუვეიტი. (საკდესი). სირიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანდელ ჰალიმ ჰადამმა, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად არის კუვეიტში, უარყო ცნობა იმის შესახებ, თითქოს უთანხმოება არსებობდეს არაბთა სოციალისტური აღორძინების მმართველ პარტიასა და სირიის კომუნისტურ პარტიას შორის, და, კერძოდ, ხმები სირიაში კომუნისტთა დაპატიმრების შესახებ.

ორივე პარტია შედის სირიის არაბთა რესპუბლიკის პროგრესული ეროვნული ფრონტის შემადგენლობაში და მათი თანამშრომლობა განაცხადა სირიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა დამასკოში, „ჩვეულებრივად გრძელდება და კვლავაც განხორციელდება".

სირიის საგარეო საქმეთა მინისტრის ეს გამოსვლა გამოწვეულია იმით, რომ ეგვიპტის პრესის ზოგიერთმა ორგანომ ამ დღეებში ამ თემაზე გამოთქვა აზრი.

თვითნებობა და უპასუხისმგებლობა

ბონი. (საკდესი). ისრაელის მხედრობისის თარეში ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე სისტემატური და მიზანდასახულია. საოკუპაციო ხელისუფლები ისწრაფვიან თვითნებობის, უკანონობის, ადამიანის უფლებათა გათელვის საშუალებით დაამკვიდრონ „ახალი წესები" დაპყრობილ არაბულ მიწებზე.

ისრაელის ადამიანის უფლებათა და მოქალაქეობრივ უფლებათა ლიგის თავმჯდომარემ ი. შაკამმა აქ გამართულ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ ისრაელის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების არაბ მოსახლეობას პრაქტიკულად წაართვეს ადამიანის ელემენტარული უფლებები, არაბებს აკრძალული აქვთ შექმნან რაიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მათ შორის კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის ორგანიზაციები. შემდეგ მან თქვა, რომ 1967 წლის ომის შემდეგ ისრაელმა ოკუპანტებმა დაანგრიეს არაბთა 16 ათასზე მეტი სახლი, მიწასთან გაასწორეს 60-ზე მეტი სოფელი გოლანის მაღლობებზე, უსახლკაროდ დატოვეს ათიათასობით მშვიდობიანი მცხოვრები.

ი. შაკამმა პრეს-კონფერენციაზე მოიყვანა ოკუპანტთა თვითნებობის ერთ-ერთი მისთვის ცნობილი მაგალითი. „პალესტინის ორგანიზაციებთან კავშირის" სტანდარტული ბრალდებით დაპატიმრეს ერთ-ერთი სახლის მცხოვრები, შემდეგ კი ქუჩაში გამოყარეს დანარჩენი 92 მცხოვრები, მათ შორის ბავშვები, მოხუცები და ავადმყოფები, ხოლო თვით შენობა დაანგრიეს.

ინგლისური კალეიდოსკოპი

დიპლომიანი რასისტი

ლონდონის სამეფო გეოგრაფიულ საზოგადოებაში ორ დღეს მიმდინარეობდა სამეცნიერო სიმპოზიუმი. და ორივე დღეს შენობის შესასვლელ კართან პოლიციის მანქანა მორიგეობდა. ეს დაეინებით მოითხოვა სიმპოზიუმის მონაწილე ამერიკელმა პროფესორმა ჯენსონმა. მან თქვა: „როცა ჩემთან, შეერთებულ შტატებში გამოვდიოდი, პოლიციის ჩაურევლად არასოდეს ხაქმე არ თავდებოდა"...

ჯენსონი ცნობილია როგორც პირწყავარდნილი რასისტი. მისი ლექციის მთავარი თეზისია ის, რომ „შავკანიანები წარმოადგენენ დაბალ რასას და საგრძნობლად ჩამორჩებიან თეთრკანიანებს გონებრივი განვითარებით". პრესაში არაერთხელ დაწერილა, რომ ჯენსონის გამოსვლის შემდეგ მისთვის ხშირად უსვრიათ ლაყე კვერცხები და დამპალი პომიდორი. ამასთან მათ შორის, ვინც ამ ობსტრუქციას უწყობდა, ბევრი თეთრკანიანი იყო.

უშველით თუ არა „ფარული კამერა"?

ისინი მოგზაურობენ როგორც ჩვეულებრივი მგზავრები. ხელში ჩვეულებრივი ჩემოდნები უჭირავთ. ესენი ბრიტანეთის სარკინიგზო უწყების სპეციალური განყოფილების კინორეპორტიორები არიან. მათი ამოცანაა — „ფირზე აღბეჭდონ ვანდალიზმის შემთხვევები" ტრანსპორტზე. ფარული კამერის მეთოდით ჯადაღებული ფირებით ისინი ქმნიან უნიკალურ კინოთაკს— „რკინიგზის ვანდალები მოქმედებაში". ასეთი სამხილებით პოლიცია იმედოვნებს ებრძოლოს მათ, ვინც წვავს ვაგონებს, ჭრის საჯდომებს, ამტვრევს მინებს. ყველაფერი ეს თითქმის ყოველდღე ხდება. მაგრამ „ვანდალიზმის განსაკუთრებით ფართო გამოვლინება", როგორც გაზეთები წერენ, ხდება სპორტული შეჯიბრებების გამართვის დღეებში. ერთი საფეხბურთო მატჩი რკინიგზას ათეულ ათასობით გირვანქა სტერლინგი უჯდება — წაგებული გუნდის ბრაზმორეული გულშემატკივრები ირგვლივ ყველაფერს ანადგურებენ, მოგებული გუნდის თაყვანისმცემლები კი — სიხარულისაგან.

უშველით თუ არა „ფარული კამერა?" სატელევიზიო კამერებმა, რომლებიც იმავე მიზეზით ლონდონის მეტროში დადეს, ვერ უშველეს. მათ მიაგნეს და დაამსხვრიეს...

სკანდალი ისტ-ენდში

შუაღამე გადასული იყო, როცა ინსპექტორი პოლ ვასტლენი, რომელსაც ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ კანონის დაცვის კონტროლი ევალება, ლონდონის ისტ-ენდის რაიონში მდებარე სამკერვალო ფაბრიკის საამქროში შევიდა, ორი ბიჭუნა საკერავ მანქანას მიჯდომოდა და თავაუდებლივ მუშაობდა. ერთი მათგანი 11 წლისა აღმოჩნდა, მეორე — 13 წლის. ორივე გროშის ფასად მუშაობდა, მაშინ ადმინისტრაციამ შეეცადა ვასტლენი დაარწმუნებინა, რომ თითქოს „ბავშვები არდადეგების დღეებში ხელობას სწავლობდნენ", გავიდა არდადეგები და ერთ ღამეს ინსპექტორი კვლავ შეხვდა ფაბრიკას, და ის ორი ბიჭუნა ისევ იქ დახვდა, საკერავ მანქანებთან. ამბავი გახმაურდა. შედგა სასამართლო, სადაც ინსპექტორი ჩვენებებს აძლევდა იმ რამდენიმე ფაბრიკის მეპატრონეთა წინააღმდეგ, სადაც მეცრეწლოვანი ბავშვების შრომას იყენებენ: გაზეთი „დეილი მირორი", „ნორჩი მონების" შესახებ სასკანდალო ამბავს რომ იუწყება, წერს, რომ მეფაბრიკეებმა იოლად დააღწიეს თავი ამ სკანდალს — ჯარიმა, რომელიც მათ გადაიხადეს გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ბავშვთა ექსპლოატაციით ნაშოვნი ფული.

ახალი ამბების სააგენტო.

მეცნიერთა თანამშრომლობა

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასა და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე ლენინგრადის ბ. კონსტანტინოვის სახელობის ბირთვული ფიზიკის ინსტიტუტის და საკლის ატომური კვლევის ცენტრის მეცნიერებმა ერთობლივი მუშაობა გასწიეს ბირთვული ფიზიკის შესწავლის დარგში.

ექსპერიმენტები მოეწყო ინსტიტუტის სინქროციკლოტრონზე და საკლში — დამაჩქარებელ „სატურნზე". ამას წინათ ლენინგრადელებმა უმასპინძლეს ფრანგ კოლეგებს, რომლებიც გაწეული მუშაობის შედეგების განსახილველად ჩამოვიდნენ.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ლენინგრადის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლები ანატოლი გრიდნევი, მიხეილ ულანოვი და ფრანგი ფიზიკოსები ჟან სოდინოსი, გასტონ ბრიუჟი და ალენ შომო.

საკდესის ფოტო.

ეველა კონტინენტიდან

ნაკლები

● **ნიფია.** ბულგარეთის ქალაქ პლევენში შეიქმნება მემორიალური კომპლექსი „პლევენის ეპოპეა". კომპლექსში შევა თურქეთის უღლისაგან ბულგარელი ხალხის განმათავისუფლებელი რუსი მეომრების არხეზული ძეგლები, აგრეთვე მთელი რიგი ახალი მემორიალურ-არქიტექტურული ობიექტები.

● **პარიზი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა, გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა ოსკარ ფიშერმა, რომელიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის უ. ხოვანიარგის მოწვევით იმყოფებოდა საფრანგეთში, დაამთავრა ორდღიანი ოფიციალური ვიზიტი.

მოლაპარაკების დროს ორი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრებმა კმაყოფილება გამოთქვეს მოლაპარაკების შედეგების გამო და აღნიშნეს, კერძოდ, რომ ტროპიკული ფოთლების საფარს ეს-ეს არის ისრები გამოარღვევდნენ და ამ ისრით განგაშრული ამხანაგი ჭეიშაში ჩავმხობოდა, ხოლო თვითონ მსარს მწვავე ტკივილი აუწვავდა, მომხდურები ამართლებდნენ თავიანთ სამკაცრეს და ევროპელთა გრძელლულიანი მუშეტებიც უმოქმედოდ არ რჩებოდა: შამბნარში გაუჩინარებულ ადგილობრივ მკვიდრთ ტყვიებს უშენდნენ. იმათ კი, ვინც ამ ჯოჯოხეთურ ხოცვა-ყლეტას ცოცხალი გადაურჩებოდა, „ინდობდნენ": ანდამანელებს ცუდი გასაგალი როდი ჰქონდათ მონათა ბაზარზე.

სწორედ მას შემდეგ შეიცვალა კუნძულების მკვიდრთა ოდინდელი გულითადობა და ცნობისმოყვარეობა ბრაზითა და უნდობლობით. მაშინ დაიწყეს ის, რაზეც ათეული წლების წინათ სრულიად უსაფუძვლოდ წერდა მარკო პოლო, და რაც იმ დროს თვით კუნძულების მკვიდრთ ჩვეულებრივ ვეულურობად მიაჩნდათ. მაშინღა დაიწყეს მათ ზღვისიმერი მხარეებიდან მოსულთა ალყაში მოქცევა, ხელში „ცეცხლისმფრქვეველი ისრები" რომ ეჭირათ. ნაფლეთებად ქცეულ ევროპელებს, მალაელებსა და ჩინელებს (რომლებიც სხვებთან ერთად ნადირობდნენ მონებზე) კოკონში ყრიდნენ: ანდამანელების რწმენით მხოლოდ ამგვარად შეძლებდნენ ისინი ბოროტ სულებთან ანგარიშის გასწორებას.

ისინი, ვინც მკაცრ შურისგებას თავს დაადგნედა, ყველგან ავრცელებდნენ გამონაგონით უხვად შეზავებულ ამბებს კუნძულის ბინადართა კანიბალიზმის შესახებ.

ანდამანის კუნძულები, რომელთა რაოდენობა ორასს აღემატება, მიმობნეულია ინდოეთის ოკეანეში, ბენგალიის უბეში, ინდოეთსა და ბირმას შუა. არქიპელაგი მოკავშირე ტერიტორიის უფლებებით შედის ინდოეთის შემადგენლობაში. მისი მოსახლეობა 115 ათას კაცს შეადგენს. მათ შორის გვხვდება ოთხი ნეგროიდული ტომი — პიგმეების იმ ტიპი რასის უმცირესი ნაშთი, რომელიც ანთროპოლოგებისა და ეთნოგრაფების აზრით ადრე, ათასწლეულების წინათ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ოკეანიაში სახლობდა.

დღეისათვის მათგან 600 კაცი დარჩა. ამასთან მაღი რიცხვი ყოველ-ამჟამად ამ ტომში 24 ანდამანია და მათ შორის არც ერთი არ არის „შინდა" წარმოშობისა. გასული საუკუნის შუა ხანებში მათი რაოდენობა ოთხი ათასს აღემატებოდა. ორი ათეული წლის შემდეგ, სამოცდაათიანი წლების დასაწყისში მათი რიცხვი უკვე ორი ათასს შეადგენდა. 1864-1870 წლებში ტომში 150 ბავშვი დაიბადა, მაგრამ არც ერთ მათგანს არ მიეღწევია ორ წლამდე.

გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ბოლოს ინგლისელებმა ანდამანებზე შექმნეს გადასახლებულ დამჭამა, სიგარეტის წევა დაიწყეს, მეეჩვევნენ ალკოჰოლს. მანამდე იქ უცნობი დაავადებანი ათობით, ასობით ანდამანელს ცელავდა. ისინი კი სულ ათას ხუთასი იყვნენ.

ამერიკელმა ეკონომისტმა „ნეშნლ ჯიოგრეფიკმა" ამას წინათ გამოაქვეყნა ფოტოსურათი, რომელშიც უსვდა არის ეგზოტიკა. წარმტაცად მოხატული, შავად მბზინავი სხეულები, ლოკოკინას ნიჟარებს მძივები, თეძოებზე ბალახბუღალახის მოსა,კმელები, მოკლედ შეჭრილ, ხუჭუჭმიანან თავებზე უცნაური თავსაბურავები, თიხის გრძელი ყალიონები პირში. მაგრამ ის, რითაც შეგაძრწუნებთ ეს ლამაზი, მომხიბლავი ფოტოსურათი, ეგზოტიკა კი არა, სავალალო სინამდვილეა: ფოტოსურათზე ხომ ოდესღაც ძლეგამოსილი და ძლიერი ტომის ნახევარია და ეს ნახევარი 12 კაცს შეადგენს, თორმეტ „დიდ ანდამანელს!".

„დიდი ანდამანელების სავალალო ხვედრი, — ამბობს ინდოეთის უფროსი კომისარი ანდამანისა და ნიკობარის კუნძულებზე ხარ მანდერ სინგჰი, — ჩვენთვის გაკვეთილია, გაკვეთილი, რომელიც ყოველდღე უნდა გვახსოვდეს, რათა სხვა ტომების წარმომადგენლებიც იმავე მდგომარეობაში არ აღმოვჩნდეთ. სამწუხაროდ, ერთადერთი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია — ეს არის მოცდა".

...ჯუნგლებში დარხეულმა განგაშის ხმამ ოკეანეში გამოაღწია. მიახლოებისას ზეზუნი უამრავ საომარ შეძახილად გაიფანტა. აი, ისინიც — მშვილდებით, გრძელი, მეტრნახევრიანი ისრებით შეიარაღებული კუნძულელები ნაპირზე მოცავენენ. მისაღმება, სარიტუალო ცეკვები... და ძალზე ზშირად განმეორებული შეძახილები — „ბაბულაი, ბაბულაი..."

„ბაბულაი" — ეს ნიშნავს „მოსულს" — გვიხსნის თარჯიმანი და დასძენს: „მათ არ უყვართ ეს სიტყვა, არ უყვართ არც ისინი, ვისაც ეს სიტყვა აღნიშნავს. ეს ისედაც ჩანს" — თითით კუნძულელებისაკენ მიგვანიშნა — „შეხედეთ, მხოლოდ მამაკაცები არიან და ყველა მათგანი შეიარაღებულია". ისინი მუდამ ასე ცდებიან „ბაბულაებს".

ა. შალნევი,
საკდესი.



ინდოეთ-ინდონეზია

ინდონეზიის ეროვნული ბიბლიოთეკა

ინდონეზიელ ბეჭედმოჭრილ ბიბლიოფილთა ბიბლიოთეკა

ბალის დასავლეთ უბანზე, ნია-გრუზინსკაიაში, სადაც ქართველი მშენებლები შრომობენ, ამ ცოტახნის წინათ გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ მიავლინა თავისი სპეციალური კორესპონდენტი რ. ჭელიძე და ფოტოკორესპონდენტი ბ. დადვაძე, მშენებლობაზე შეიქმნა გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგო.

ამიერიდან ჩვენს მკითხველებს პერიოდულად მოვუთხრობთ საუკუნის ამ დიად მშენებლობაზე.

დღეს ვბეჭდავთ „კომუნისტის" საგუშაგოს პირველ წერილს.

□ □

დღემდე მდინარე ლენამ არ იცოდა რა იყო ხიდები. რუსეთის ამ გიგანტი მდინარის ფართო დინება აქამდე არავის გადაუხიდავს. და აი ბამის მამაცმა მშენებლებმა მასზე უმოკლეს ვადაში ააგეს მონოლითური კონსტრუქციების ხიდი, რომელიც ჯერჯერობით ლენაზეც პირველია და ბამის მთელ დასავლეთ უბანზეც.

დახედეთ ციმბირის რუკას, რკინიგზის ალმანშვნელი წითელი ხაზი მდინარე ლენამდე მიდის და იქ წყდება. ამიერიდან იგი ლენასაც გადაჰკვეთს, ახალ ხიდს გაიკლის და ნაკვალევს ტაიგაში დასტოვებს...

„ანგარმშენის" სახელოვანმა კოლექტივმა პირობა შეასრულა — ახალი წლის წინა დღეებში უპატაკა სამშობლოს, რომ რუკაზე ლენას შემდეგ გაჩნდა ბამის დასავლეთი უბნის პირველი სადგური — ტაიურა. უკაცრელ ტაიგაში გაეკვანლია რკინიგზის მაგისტრალის პირველი 64 კილომეტრი.

ტაიურა მდინარეა ტაიგაში. იგი ლენას იქ ერთვის, სადაც გახმაურებული დასახლება ზვიოზდნი მდებარეობს. აქედან ნია-გრუზინსკაიამდე ორმოცაოდე კილომეტრია. ამიტომ ტაიურამდე რკინიგზის მაგისტრალის მისვლა ქართველი მშენებლების გულს სიხარულით ავსებს. გაიგლის მცირე დროც და მატარებელი ნიამიც შემოვა. ამით კი ბევრად შემსუბუქდება ჩვენი მექანიტორების, მძღოლების შრომა, რომელიც ახლა სამშენებელო მასალებს ტაიგის „ზამთრის გზით" ძნელ პირობებში ეზიდებიან.

გზის ამ მონაკვეთის დამკვრელურ მშენებლობას თვალყურს ადევნებდა მთელი ჩვენი ქვეყანა. ბამის დასავლეთ უბნის მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა ფართოდ გაიჩაღეს შეჯიბრება ლენაზე ტაიურამდე პირველი მატარებლით მგზავრობის საპატიო უფლების მოპოვებისათვის. ამ შეჯიბრებაში ჩაბმული იყვნენ ნია-გრუზინსკაიას მშენებლებიც, რომლებმაც შარშანდელი წლიური დავალება ჯერ კიდევ ნოემბერში დაამთავრეს, და ზამთრის მკაცრი ყინვების მიუხედავად დამატებით კიდევ ათასობით მანეთის სამშენებლო სამუშაოები შეასრულეს.

და აი შეჯამებულია ამ შეჯიბრების შედეგები. გამოვლინდნენ გამარჯვებულები — საუკეთესოთა შორის საუკეთესონი, რომლებმაც ლენადან ტაიურამდე პირველი მატარებლით საზეიმო მგზავრობის უფლება მოიპოვეს.

საპატიო მგზავრებს შორის მოხვდნენ ნიას სახელოვანი მშენებლები, რომლებიც აქ ოჯახებით შრომობენ. „საქბამშენის" კოლექტივის გადაწყვეტილებით ეს საპატიო უფლება მიენიჭათ პირველ ქართველ „ბამელს", ტყისმჭრელთა სახელოვანი ბრიგადის ხელმძღვანელს ვალერი რუხაიას და მზისა თოდუას, მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელს ვანო ჯაშიაშვილს და თამილა შიოშვილს, მშენებელთა ბრიგადის ხელმძღვანელს ნიკოლოზ ოპარინს და ლიუდმილა ოპარინას.

ნია-გრუზინსკაიას მშენებელთა კოლექტივის ბევრი წევრი იყო ამ საზეიმო მგზავრობის ღირსი, რადგან დამკვრელური შრომის ნამდვილი მაგალითი აჩვენა, მაგრამ, რას იზამ, მატარებელი ამდენ საპატიო მგზავრს ვეღარ დაიტევდა. მაგრამ ნია-გრუზინსკაიას კოლექტივმა, ჩვენი აზრით, მაინც დიდი გამარჯვება მოიპოვა, რომ მისი ექვსი წევრი გახდა ამ საზეიმო მსვლელობის მონაწილე. ასეთი პატივი „საქბამშენის" კოლექტივზე ბევრად უფრო მსხვილ საშენებლო ორგანიზაციებსაც არ რგებიათ.

ეს ახარებს ნიელ მშენებლებს და დიდი პასუხისმგებლობის წინაშეც აყენებს, რომ მათს შრომას აფასებენ, ზრუნვას არ აკლებენ ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, და დიდი მშენებლობის ხელმძღვანელები.

დამკვრელური შრომის დღეები გრძელდება. სამშენებლო ობიექტებზე კვლავაც თვდადებით შრომობს ყველა. ზამთრის მკაცრი ყინვების მიუხედავად სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან ვალერი რუხაიას, გოგი თარხნიშვილის, ნიკოლოზ ოპარინის, ზაურ ბაკლანძის, ვიქტორ მახარაძის, ვანო ჯაშიაშვილის, ავთანდილ სამხარაძის ბრიგადები. ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ მძღოლები გულად შეუიღაძე, ვიქტორ ფილია, ბიბეკო თხელიძე, ტრაქტორისტი შალვა კბილაშვილი, მშენებლები ნოდარ გუგულაშვილი, ჯიმშერ კვანტალიანი, თამაზ გელაშვილი, გივი გელენიძე, ავთო ღონღაძე, ტყისმჭრელები ლევან შავაძე, ვანო შენგელია, ზურაბ აბულაძე, ბორა ჩქმეიავა, ვიქტორ კიკნაძე, ალექსანდრე კურტანიძე, თამაზ არტემაშვილი, გოგიტა ნადირაძე, ბოდო სორდია, დამხარე მუშა ზურაბ რატიანი და სხვ. ყველას ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ათეთორმეტ საათს ობიექტებზე არიან უბნის უფროსები რეში ბეროძე, რამის მაჭარაშვილი, ნიკოლოზ მარაევი, ვლადიმერ არობელიძე...

ახალი წლის ამ დამკვრელურ დღეებში ნია-გრუზინსკაიას მშენებლები რესპუბლიკას უპატაკებენ, რომ ისინი ზამთარს ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ, შემოდგომის ყინვების დადგომამდე ძირითადად დამთავრეს საჭირო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა. აიგო ორი 60-60-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი, სამ ოთხბინიანი, ერთი ორსართულიანი რვაბინიანი, ერთი 27-ადგილიანი სახლები და ყველა მშენებელი ქარვებიდან ცენტრალური გათბობით მოწყობილ ბინებში შევიდა.

ამ დღეებში კი დამთავრდა კიდევ ერთი საერთო საცხოვრებლის მშენებლობა, დამონტაჟდა სპორტული დარბაზი, რომელშიც ახლა მოსპორტეთელები სამუშაოები მიმდინარეობს.

ტაიგაში ძალიან ცივა, მაგრამ ეს ვერ აფერხებს მშენებელთა შრომას და აქტიური დასვენებას. ფართო, თბილ კლუბში რეგულარულად უჩვენებენ კინოფილმებს, უკრავს ადგილობრივი საესტრადო ორკესტრი, ვარჯიშობენ ნიელი სპორტსმენები, რომლებმაც ბამის დასავლეთ უბნის პირველობაზე ბრატსკში პირველი და საპრიზო ადგილები დაიკავეს ჭიდაობაში, კალათბურთში.

და კიდევ ერთი სასიხარულო ამბავი მოხდა ნია-გრუზინსკაიაში — ახალი წლიდან იხსნება რვაწლიანი სკოლა, რომელსაც პედაგოგი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნადეჟდა დვალიშვილი უხელმძღვანელებს. ნიას პირველი სკოლის მოსწავლეები იქნებიან ვანკო გუგრგინიძე, ნინიკო დვალიშვილი, გრიშა მელქუმოვი და სხვები, სულ ჩვიდმეტი ბავშვი, რომელთა მშობლებიც აქ შრომობენ.

...საზეიმოდ მორთულა სადგური ლენა. მის სატვირთო სადგურზე დგას ცისფერი მატარებელი, რომელსაც დიდი ასოებით აწერია: „გამარჯობა ტაიურა!" ტაშის გრიალში სტოვებს იგი საშენი მასალებით და ტექნიკით დატვირთულ სადგურს. ტაიგაში უჩინარდება და თან მიჰყავს ადამიანები, რომელთა შორის ქართველი მშენებლებიც არიან.

მაშ ასე: ლენა-ტაიურა. პირველი 64 კილომეტრი რკინიგზის ტრასა გაყვანილია. მასზე სატვირთო მოძრაობა უკვე დაიწყო. ახლა ჯერი ნიაზე დადგა. ნია-გრუზინსკაია პირველ მატარებელს წლეულს ელის.

გაზეთ „კომუნისტის" საგუშაგო ბამის მშენებლობაზე: ა. დვალიშვილი — „საქბამმშენის" უფროსი, თ. ურაშაძე — მშენებლობის ექიმი, ა. ლომაძე — კომკავშირის ორგანიზაციის მდივანი, ბ. თარხნიშვილი, მხერხავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, რ. ჭელიძე — „კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი.

ბამის დასავლეთი უბანი.

ნია-გრუზინსკაია, დეკემბერი.

ბამი. ნია-გრუზინსკაია. დურგალთა ბრიგადის წევრები მიხეილ კიკალიშვილი (მარცხნიდან), ნოდარ ქველაძე, გოგი კოკვიძე და ნოდარ გუგულაშვილი აშენებენ სპორტდარბაზს.

ბ. დადვაძის ფოტო.

ნაზი კილასონია

ახალი ლექსები

თბილისი საფიცარი

სიტყვა საფიცარი — განა ლიტონია?
შენით შევიცანი. აწმყოც, ისტორიაც.
მეტეხის კერანგით, სიონის გუმბათით
შენა ხარ ერეკლე! და შენ ხარ ხულმნათი!
ვარვარა კოწანისით. დაკრილი მარაბდით
შენ ხარ საკრძალვისი. და შენ ხარ მარადი!
როგორ აგცდებიან — ჭიში სპირთ აგეთი:
შენთვის კაცდებიან ლეკვები ალგეთის!
ხალხით დარწეული და არა მეფისად
შენში აიწია ამბავი ვეფხისა!
კალამით რჩეულით, ყაყაჩოს მელანით
აოეტურ ხეიულით აქ შჭობე მერანი!
აქ გჭექს მაჭარივით სისხლის მრიალდად
შენი ჭავჭავაძე — შენი ილიადა!
ხოულიად ქართველთა
ტვინო, არტერიავ,
ნაპერო ნათელო,
არსო, მატერიავ.
უფლება არავის! არავის! არავის!—
რომ აქ შემზარავი დაიდოს კარავი
და მთლად, მთლად იაფად ვით კვრინჩხის აკიდო
სული მოკიაფე ეშმაზე გაპყიდოს.
გული დაგისეროს, ართუ გათვალადოს
და მერე გაბაენოს ისე, სათამადოდ,
უფლება არავის!
არავის! არავის! —
ამგვარ შემზარავი დაიდოს კარავი!
არა! გორგასლიან, კბოდაან ხერხემალს
მტკვარი არ გასცლია, უფრორე ეხლება!
უფრო ხმამაღალი ყიეინით მდინარეს
ტუილისი ახალი მიაშხუიან წინარე —
ტრასებით!
უბნებით!
კაშკაშით!
სტენდებით!
მაქვს სრული უფლება ვიყვირო — ვთენდები!
ვთენდები. ვთენდები. შორს ბნელო აჩრდილო!
დამდგარა ვედრებად მეტეხი, საჩინო.
იხსნება ნანატრი რიეარეის კედელი
პირველი ხარატით, პირველი მჭიდელით.
და რიგმი-თბილისი ხრულიად ქართველთა
მიგვრგვინავს ვილისით: — გათენდა! გათენდა!
ო, რარიგ გამშვენებს, ო. რარიგ განკაცდა
სიმღერაც ბავშვური, და ბჭობაც თავკაცთა! —
სიმართლის კანდელით, და არ დარიდებით
გვაქვს დღე დღევანდელი,
გვწამს დღე ხვალინდელი!
და მრწამსი რჩეული მზეებში გადადის
მაღლა აწეული წითელი მანდატით!
მე კი რა შეგმატო! ვარ ერთი ნაფლეთი,
პაწაწა ეტაპი პოეტურ ხაფეთქლის.
თუმც მყოფნის ისედაც: მომავლის ნეკნებით
უბეში მისხედან ალგეთის ლეკვები!

ჩვენი ხელოვნება

მეგობრობის მეოდიები

გასული წლის სექტემბერში ამერიკავკასიის რესპუბლიკებსა და ამერკავკასიის წყიოელ-დონოშოვანი სამხედრო ოლქის გარნიზონებში კონცერტები გამართა ერაყის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო კოლეჯის ორკესტრმა. ერაყელ სამხედრო მუსიკოსთა ეს ვიზიტი მოეწყო საზღვარგარეთის ქვეყნების არმიებთან ურთიერთობის განმტკიცების მიზნით.

და აი ახალი წლის წინადღეებში ერაყის რესპუბლიკაში საპასუხო ვიზიტით კონცერტები ჰქონდა ამერკავკასიის წყიოელ-დონოშოვანი სამხედრო ოლქის შტაბის სამხედრო ორკესტრს, რომელსაც დიდი წარმატება ხვდა.

აღსანიშნავია, რომ კონცერტებში მონაწილეობას იღებდნენ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტები, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. მკერვალიძე და თ. ზაალიშვილი.

ამ მომღერლებისათვის საშეფო კონცერტებში მონაწილეობა პირველი შემთხვევა როდია. მათ სხვადასხვა დროს უმოგზაურიათ მრავალ ქვეყანაში, მათ შორის პოლონეთში, გერმანიაში, უნგრეთში, რუმინეთში, ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, კუბაში და ყველგან მსმენელთა სიმპათიები და აღიარება მოუპოვებიათ.

ამჯერად საბჭოთა მსახიობებმა მოინახულეს ბაღდადი და სხვა ქალაქების მსმენელები, რომელთა შორის იყვნენ სამხედრო კოლეჯების, სატანკო დივიზიების სამხედრო მოსამსახურეები, მეზღვაურები, მფრინავები.

ქართველი მომღერლების რეპერტუარში იყო როგორც კლასიკური საოპერო სპექტაკლების ნაწყვეტები, ისე ხალხური და საბჭოთა კომპოზიტორთა პოპულარული მელოდიები. მათი ხელოვნების აღიარების დასტური იყო ის უამრავი მადლობის ბარათები და სიგელები, რომლებიც მათ მიიღეს. ერთ-ერთ ბარათში აღნიშნულია, რომ ორივე მომღერელს „ოპერტუარის მრავალფეროვნებამ, ბრწყინვალე საშემსრულებლო ოსტატობამ, მაღალმხატვრულმა კულტურამ და მომხიბლაობამ დიდად განსაზღვრა სამხედრო ორკესტრის კონცერტების პროგრამის წარმატება“.

საბჭოთა მსახიობები ბაღდადში ორი კონცერტით წარსდგნენ აგრეთვე საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებისა და იმ საბჭოთა სპეციალისტების წინაშე, რომლებიც ერაყის რესპუბლიკაში არიან მივლინებულნი სამუშაოდ. ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის ელჩმა ა. ბარკოვსკიმ ნ. მკერვალიძესა და თ. ზაალიშვილს გულითადი მადლობა უძღვნა „იმ სიხარულის და ესთეტიკური სიამოვნებისათვის, რაც მათ თავიანთი ხელოვნებით მიანიჭეს“.

აქტიური სამხედრო-საშეფო მუშაობისა და სამემსრულებლო ოსტატობის მაღალი დონისათვის რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ნ. მკერვალიძე და თ. ზაალიშვილი ერაყის რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩომ სიგელებით დაჯილდოვა.

რ. მუხიგულაშვილი.

სურათებზე: ზემოთ — მღერის ნათელა მკერვალიძე, ქვემოთ — ნ. მკერვალიძე და თ. ზაალიშვილი ერთ-ერთ შეხვედრაზე.



თბილისის ბოტანიკურ ბაღში



ეს სურათები „კომუნისტის“ ფოტოკორესპონდენტმა ს. კილაძემ გუშინ გადაიღო დედაქალაქის ერთ-ერთ ულამაზეს კუთხეში — ბოტანიკურ ბაღში.

აქ თითქმის ყოველდღე ნახავთ მოლბერტებთან მდგარ მხატვრებს (მარცხნივ); არდადეგების დროს მრავალი ნორჩი ბუნების მოყვარული მხიარულად ატარებს დროს ბუნების წიაღში.

სეტყვენ ზაემთარს. ზაემთარი სეტყვს

ფოტოსპარტაკიადა

ჩვენი დედაქალაქი

ზოგიერთი მეცნიერება საოცრად გამჭრიახია.

გერმანელმა ასტრონომმა ი. ჰალემ ერთიელ თავიი ტელესკოპი ცის კამაღლთის იმ წერტილს მიუშვირა, როელიც ფრანგმა მათემატიკოსმა ლევერიემ ძიუითთა და ათრთლაც მაადე უცნობი პლანეტა აღმოაჩინა. ეს ნეპტუნი იყო. ლევერიემ წინასწარ გამოიანგარიშა მისი არსებობა. რუსმა მეცნიერმა ნ. ა. მოროზოვმა ინერტული გაზების აღმოჩენამდე კარგა ხანი ადრე იწინასწარმეტყველა მათი არსებობა და ზუსტად ძიუითთა კიდეც მათი ადგილი მენდელეევის ცხრილში — იგი ფიზიკოსა და მათემატიკის კანონებით ხელმძღვანელობდა. ინგლისელმა ფიზიკოსმა პ. დირაკმა „დაინახა“ პოზიტრონი, რომელიც რამდენიმე წლის მეკადეგ აღმოაჩინეს უშუალო ექსპერიმენტით.

მედიცინას არ ძალუძს ამ მხრივ მეტოქეობა გაუწიოს ზუსტ მეცნიერებებს, უფრო სწორად: „არ ძეეელო“. დღეისათვის მიღებული შედეგები კი გვაიძულებს სულ სხვაგვარად შევაფასოთ ძისი შესაძლებლობები. დიაგნოსტიკის ახლანდელი საშუალებები ხშირად საშუალებას გვაძლევს დროულად, ადრეულ სტადიებში გამოვაფიქსირეთ დაავადება.

ადრეული პროგნოზი იოლი საქმე რადა. როგორ გამოვიცნოთ, მაგალითად, რომ ამა თუ იმ ცოლ-ქმარს, თითქოსდა ყოველსრივ ჯანმრთელებს, ეყოლებათ შვილი გარკვეული სეხით დაავადებული, რომელიც ფარულია და მხოლოდ ათეული წლების შემდეგ, უკვე მოზრდილ ადამიანს გამოაჩნდება? თანამედროვე გენეტიკას უკვე შეუძლია იწინასწარმეტყველოს ბევრი შთამომავლობითი დაავადება ჯერ კიდევ ჩვილის ქვეყნად გაჩენამდე — მისი შთამომავლობის, მისი მემკვიდრეობითობის ფაქტორების ანალიზის საფუძველზე. თუმცა ხშირად ეს დასკვნები სავარაუდოა ხოლმე. ექიმისათვის კი დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ გამორიცხოს ყოველგვარი გაურკვევლობა. არა უშავს, დღეს, როცა მედიცინის არსენალი ასალი მეთოდებით შეიჭედა, ამის მიღწევაც შესაძლებელია. მართალია, ასეთი გამოკვლევები ისე საგულდაგულოა, რომ აუცილებელი სიზუსტის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ათასობით, ზოგჯერ კი მილიონობით უჯრედის შესწავლის შედეგად, მაგრამ სრულიადაც არ არის საჭირო მთელი ეს უზარმაზარი რაოდენობა ხელთ გვქონდეს სამუშაოს დასაწყისისათვის. იგი შეიძლება ასი უჯრედითაც დავიწყოთ.

მაგრამ ეს ასი უჯრედიც როგორ მოვიპოვოთ ისე, რომ არც ნაყოფს ვავნოთ და არც დედას? საჭიროა შიგიღოოთ ნაყოფის ასლო არსებული სითხის მცირე რაოდენობა, , რომელიც უნდა შეიცავდეს ნაყოფისაგან მოცილებულ უჯრედებს. აი მათი საშუალებით უკვე შეგვიძლია დავიწყოთ ყველა შემდგომი გამოკვლევა. დრო თან ისე უნდა იქნას შერჩეული, როცა სითხეც ბევრია და ნაყოფიც პატარაა, მოძრავი. ხშირად ეს ორსულობის 16-20 კვირაა. თუ ანალიზმა აჩვენა, რომ ნაყოფის დაავადების წინასწარმეტყ თანამედროვე მედიცინა ჯერჯერობით უძლურია, დედას რჩება დრო, რათა შეწყვეტოს ორსულობა, ადარ გაიჩინოს ავადმყოფი შეილი. მემკვიდრეობითი დაავადება მრავალია, გამოუვლინებელია ამ დაავადებათა ბევრი მიზეზიც. ზოგ შემთხვევაში დამნაშავეა მემკვიდრეობითობის ერთეულები — გენები. გენი დევს ქრომოსომაში — საოგრად დაგრეხილ სხეულაკში. ასეთი სხეულაკები მოთავსებულია უჯრედის ბირთვში. რიცა უჯრედი იხლიჩება, ქრომოსომა განსაკუთრებულად კარგად შეინიშნება, და აი სწორედ ამ დროს არის შესაძლებელი დავინაბოთ მათი ინდივიდუალური თავისებურებები. ქრომოსომებს წყვილ-წყვილად ითვლიან. ქალის უჯრედში 23 ასეთი წყვილია, ხოლო კაცისაში — 23-ე წყვილს ერთმანეთისაგან განსხვავებული ქრომოსომები წარმოადგენენ.

ზოგიერთი დაავადება, მაგალითად, გემოფილია, დაკავშირებულია სწორედ ერთ-ერთ შეუწყვილებელ ქრომოსომასთან და ამიტომაც „ეს დაავადება მხოლოდ კაცებს უნდა-აქვს. როცა გაიზრდებიან, ასეთი ავადმყოფები ასრულებენ მხოლოდ არაკვალიფიციურ, იოლ სამუშაოს, ხშირად კი თავის თავსაც ვერ უვლიან. აქვე დავძენთ, რომ 40 წლის ქალებს ასაკის ზევით ვარაუდით ათჯერ უფრო მეტად შეიძლება ეყოლოთ ავადმყოფი მემკვიდრე, ვიდრე — 25-წლიანებს.

ცნობილია მემკვიდრეობითი დაავადებების დიდი ჯგუფი, რომლებაც საფუძვლად უდევთ ნივთიერებათა ცვლის დარღვევა. ეს კი იმიტომ ხდება, რომ იცვლება რომელიღაც გენი და ის ფერმენტები, რომლებსაც იგი „ბანაგებს“, საკმარისი რაოდენობით არ არის. ჩვეულებრივად, ორგანიზმი ეგუება ამას და ფერმენტის დეფიციტის კომპენსირება ხდება მეორე ნორმალური გენის ხარჯზე. დაავადება კი ბავშვს უჩნდება იმ შემთხვევაში, თუ შეცვლილ გენებს ორივე მშობლისაგან იღებს. მაშინ ვითარდება ნივთიერებათა ცვლის

საანამ გვიან არ არის

დიაგნოზი დაბადებამდე

ბათ ხოლმე. თავად, ასეთი სქესთან დაკავშირებული დაავადებების არსებობა ხშირად აუცილებელს ხდის ჯერ კიდევ დაბადებამდე განვსაზღვროთ ბავშვის სქესი. მაგრამ როგორ? საბედნიეროდ, არის ერთი დეტალი, რომელიც საშუალებას გვაძლევს დავძლიოთ სიძნელე. თურმე განვითარების ადრეულ სტადიებში გოგონებს ერთ-ერთი ქრომოსომა აქტიურობას კარგავს, მისი ნივთიერება თანდათან მკვრივდება და იღებს ბირთვის კიდეზე პაწაწინა შავი სხეულაკის — სქესის ქრომატინის სახით. თუ ეჭვობ, რომ მოცემულ ოჯახში შეიძლება ავადმყოფი ბავშვი დაიბადოს, ექიმი ნაყოფის უჯრედებში სწორედ სქესის ქრომატინს ეძებს. თუ იგი არსებობს, — ე. ი. გოგონა დაიბადება და შიშიც უსაფუძვლოა, ხოლო თუ სქესის ქრომატინი არ არის — ბიჭი იქნება. რა თქმა უნდა, იგი აუცილებლად ავადმყოფი როდი აღმოჩნდება, თუმცა რისკი მაინც საკმაოდ დიდია — 50 პროცენტის ფარგლებში.

ნაყოფის ასლო არსებული წყლის გამოკვლევის მეოხებით შესაძლებელია გამოვიცნოთ ათეულობით მემკვიდრეობითი დაავადება. ხოლო ადრეულ დიაგნოსტიკას ყოველთვის თვალსაჩინო შედეგები ასლავს. ტეჰერი მაგალითია დაუნის დაავადება. მისი სამწუხარო ნიშნები ცნობილია: პაწია თავი, ნახევრადღია პირი, ბრტყელი სახე წამოწეული ღაწვებით, მსხვილი ენა, და რაც მთავარია, გონებრივი სიჩლუნგე. და ყველაფერი ეს იმის გამო, რომ ბავშვს ერთი ზედმეტი ქრომოსომა

ჩვენი კინოაფიშა

დაკარგული ექსპედიცია

ფილმში მოთხრობილია ამბავი იმ ერთ-ერთი პირველი ექსპედიციისა, რომელიც რევოლუციის შემდეგ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ წლებში გაეგზავნა ცომბრის უმდიდრესი ოქროს საბადოების შესასწავლად. ფილმი სათავგადასავლო ხასიათისაა. მასში ნაჩვენებია ექსპედიციის გმირობა და მამაცობა. კინოსურათში პოპულარულ მსახიობებს ნ. გრინკოს, ე. სიმონოვას, ნ. ოლიალინს, ლ. ბრიგუნოვს პარტნორობას უწევს ჩვენი თანამემამულე ვ. კეკანაძე, (გორკის სახელობის კინოსტუდია).

ჯოკეის ამბები

დიდი საერთაშორისო ტურნირები

გუშინ პროფესიონალებთან საბჭოთა ჰოკეისტების შეხვედრების სუპერსერიის უკანასკნელი მატჩი გამართა მოსკოვის „კრილია სოვეტოვა“ (ეს შეხვედრა ჩვენი დროით გვიან დამით გაიმართა), დღეს კი თავისი ბოლო ასპარეზობა აქვს ცსკა-ს.

პირველი შეხვდა „ნიუ-იორკ აილენდერსს“, მეორის ვეტოქეა სტენლის თასის ბოლო ორი წლის მფლობელი „ფილადელფია ფლაიერსი“, ორივე თამაშს დღეს ვსახავთ ცენტრალური ტელევიზიით, შესაბამისად 16 ს. და 55 წუთზე და 22 ს. და 30 წ.

როგორც იქნა გადაწყდა დიდი საერთაშორისო ტურნირის ჩატარება კანადაში. მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეიცის, ფინეთის, აშშ-ის გუნდები და უძლიერესი პროფესიონალებისაგან შედგენილი კანადის გუნდი. ასპარეზობა გაიმართება წლეულს, 1-დან 17 სექტემბრამდე. ეს ოფიციალურად გამოაცხადა ოტავაში ეროვნული ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის მინისტრმა მარკ ლალონდმა.

მინისტრმა განაცხადა აგრეთვე, რომ კანადის ნაკრები გამოვა 1977 წლის ვენის მსოფლიო ჩემპიონატში და იგი შედგენილ იქნება ჰოკეის ნაციონალური ლიგისა და ჰოკეის მსოფლიო ასოციაციის საუკეთესო პროფესიონალი მოთამაშეებისაგან.

„კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე

ჩინებული შედეგები

თბილისის საცურავ აუზში გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე გამართული საკავშირო ტურნირის ბოლო დღეს კვლავ წარმატებით გამოვიდა ჩვენი დედაქალაქის კიდევ ერთი წარმომადგენელი. 61-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ სოსო ელბაქიძემ კოშკიდან სტარტში 1960-61 წლებში დაბადებულთა შორის მესამე საპრიზო ადგილიც დაიკავა და პირველად შეასრულა სპორტის ოსტატის, ნორმაც — 455,76 ქულა.

აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულის ვ. ლობინცევის (ვორონეჟი) და მეორე პრიზიორის ვ. ვორობეის („სპარტაკი“, მინსკი) შედეგები (513,70 და 483, 42 ქულა) აღემატება საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს.

ბ. ქვათაძე.

„ტყავის ბურთის ირგვლივ“

რა ხდება ფეხბურთის სამშობლოში?

საშობაო დღესასწაულების დროს ბი-ბი-სის ტელევიზიის სპორტული გადაცემების რედაქციამ ინგლისის ეროვნული ნაკრების მწვრთნელს დონ რივის 1976 წლის კალენდარი მიართვა, სადაც თორმეტის ნაცვლად თოთხმეტი თვე იყო. დონ რივი 1975 წელს ინგლისური ფეხბურთის ფიასკოს დროის სიმცირეს მიაწერდა, ინგლისელები თავისი ფეხბურთის მორიგ მარცხს ჩვეულებრივი იუმორით შეხვდნენ: მართლაც და ნეტი რა დარჩენოდათ — ბრიტანულ ფეხბურთის წარეტაგნლობა წარუმატებლობაზე სდევდა ევროპის ჩემპიონატზე. ინგლისის, შოტლანდიის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებიდან მხოლოდ უელსის ნაკრებმა განვლო საკვალიფიკაციო ტურნირი და მეოთხედფინალს მიაღწია. ინგლისური გაზეთები სარკაზმით წერდნენ: „ჩვენ ოთხი გუნდის ნაცვლად ერთი გუნდი უნდა გვყავდეს და ამ გუნდში მხოლოდ უელსელები უნდა ვთამაშობთ“. უელსი რეგბის მოთამაშეებით არის განთქმული და როგორც გაზეთები გვარწმუნებდნენ, იქ მხოლოდ თერმეტი კაცი თამაშობს ფეხბურთს და სწორედ მათ შეადგინეს ეროვნული ნაკრები, რომელმაც ავსტრიის გუნდი დაამარცხა გადამწყვეტ მატჩში. ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრების იმედი არავის ჰქონია. ჯორჯ ბესტის გარეშე მათ ხომ არაფერი გამოუდიოდათ (სხვათა შორის, ჯორჯ ბესტი კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს. ორი წლის განმავლობაში იგი ბიზნესს მისდევდა, მაგრამ, ეტყობა, ხელი მოეცარა და „უფრო სარფიან“ საქმეს დაუბრუნდა. ოცდაცხრა წლის ფეხბურთელმა მეორე ლიგის გუნდ „სტოკპორტთან“ დასდო ჯერჯერობით მხოლოდ ერთთვიანი ხელშეკრულება და ძველებურად რამდენიმე გოლიც გაიტანა). რაც შეეხება ინგლისსა და შოტლანდიას, მათი ეროვნული ნაკრებების თამაშმა გულშემატკივრებს ნამდვილად გაუცრუა იმედი. მოთამაშეებმა და განსაკუთრებით კი მწვრთნელებმა კრიტიკის ქარცეცხლში გაიარეს, ყველაზე მეტად დონ რივის მოხვდა. ფედერაციამ მას მომავალი წელი გამოსაცდელ ვადად მისცა, ხოლო ბი-ბი-სიმ, როგორც ზემოთ ითქვა, თოთხმეტთვიანი კალენდარი.

ახლა, მცირე ხნით ინგლისის ეროვნულ ჩემპიონატს გადავავლოთ თვალი. ტურნირმა ეკვატორს გადაალახა; მეორე წრე დაიწყო და ჩემპიონობაზე სულ ცოტა ხუთი გუნდი აცხადებს პრეტენზიას. ცხრილს სათავეში „ლივერპული“ მოეკავა. გუნდმა კარგად დაიწყო სეზონი, სულ ლიდერებში იმყოფებოდა და რამდენიმე ჩინებული მატჩიც მოიგო. განსაკუთრებით სამახსოვრო იყო „მანჩესტერ იუნაიტედთან“ მოგებული თამაში ლივერპულში ანფილდის სტადიონზე და იქვე უახლოესი მოწინააღმდეგის „ქუიზზ პარკ რეინ ჯერსის“ დამარცხება. ამ მატჩებში მთელი გუნდი კარგად თამაშობდა, მაგრამ განსაკუთრებთ გამოიჩინეს თავი ინგლისის ნაკრების წევრებმა ნახევარმცველმა კევინ კიტანმა, მეკარე ჰატ ჯენინგსმა და უელსის ნაკრების ზოთამაშემ ჯონ ტოშაკმა. მეორე ადგილზე „მანჩესტერ იუნაიტედია“. უკანასკნელ ინტერვიუში ამ გუნდის მწვრთნელებმა, ინგლისური დიპლომატიის საუკეთესო ტრადიციების მიხედვით თქვეს, რომ წელს ჩემპიონები ვერ გავხდებით. მზად არა ვართ, მაგრამ იმედი გვაქვს, იქნებ ვცდებითო. ე. ი. უნდა ველოდოთ, რომ გუნდი ძალ-ღონეს არ დაიშურებს და ჩემპიონობისათვის იბრძოლებს. მესამე ადგილზე „ლიდს იუნაიტედია“.

ზ. ბაჩიჩილაძე.

ლონდონი — თბილისი.

ჩვენს მკითხველს

1975 წელს „კომუნისტის“ ფურცლებზე დაბეჭდილი საკომპოზიციო მასალა ჩვენი მკითხველებისათვის დიდად საინტერესო იყო — შარშან, მთელი წლის მანძილზე „მერანის“ სახელზე სამი ათასამდე წერილი შემოვიდა.

იმედია, მკითხველები კვლავ გაგრძელებენ შემოქმედებითს კავშირს „მერანთან“, რომლის სამუშაო გეგმები ახალ წელს რამდენიმე საინტერესო ღონისძიებას და მათ შორის საკადრაკო ამოცანებისა და ეტიუდების ამოხსნის კონკურსის მოწყობასაც ითვალისწინებს.

მოგვყავს გასულ წელს გაზეთში გამოქვეყნებული სამი უკანასკნელი ნაწარმოების მოკლე ანოტაცია, რომლებიც მრავალმა ჩვენმა მკითხველმა შეგვატყობინა:

დ. ნეუკოგი (28/IX-75) — 1. ga5!

რ. დადუნაშვილი (8/X. 75) — 1. d5 4. cd a4 5. d6 a3 6. d7 a2 7. d8♕+! 8. e6+ 9. d8♗+ უკანი.

3. ბრონი (18/X-75) — 1. ed5!

მომავალში „მერანი“ კვლავ გამოაქვეყნებს იმ ამომხსნელთა გვარებს, ვინც პირველი გამოგზავნის სწორ ამოხსნას. გისურვებთ წარმატებას!



შამათი 4 სვლაში

ველით თქვენს ამოხსნებს, ძვირფასო მეგობრებო!

ვ. ნეიძე.

„ მერანი“

სკოლამდელი კრებული

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

КОМУНИСТИ ИНДЕКС 86443 УЭ 03114

380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-54, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14

ტელევიზია

11 იანვარი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — „მაღვიძარა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.00 — კინოჟურნალი, 11.10 — დოკუმენტური ფილმი „ასეთი ახალგაზრდობა“ (ქართულ ენაზე), 12.00 — „კინოაფიშა, 12.40 — „მულტფილმები, 13.00 — „მუსიკალური კიოსკი“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 13.30 — „კინოს მოყვარულთათვის“, 14.30 — ფერადი ქართული მხატვრული ფილმი „ფიოსმანი“, 16.00 — „ჯანმრთელობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 16.30 — „საერთაშორისო პანორამა“. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.00 — მოსწავლეთა არდადეგების გამო: „ტელევიზია მასპინძლობს“ (განმეორებით), 17.40 — კინონარკვევი, 18.10 — „ახალი, ეკონომიური, ეფექტური“..., 18.30— ნახატი ფილმი, 18.40 — „ახალგაზრდობა“ — სატელევიზიო პროგრამა, 19.10 — „ქართული საბჭოთა ხელოვნება“ — სილოვან კაკაბაძე, 19.45 — „ამღერებული ოჯახები“, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.00 „ კინომოგზაურთა კლუბი“, ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.00 —„ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა, (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — — საესტრადო წარმოდგენის ფრაგმენტები.

მეორე პროგრამით

18.05 — კინონარკვევი, 18.35 — მხატვრული ფილმი „მკვდარი სეზონი“ (მეორე სერია), 19.40 — დოკუმენტური ფილმები: „დე, მუდამ იყოს მზე“! და „ლონდონის კონცერტი“, 20.30 — კონცერტი.

რადიო

12 იანვარი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ვ. გოკიელი. პირველი საორკესტრო სუიტა, 06.50 — „სოფლის დილა“, 07.30 — დილის კონცერტი, 08.00 — გაზეთ „პრავდის“ მიმოხილვა (გადმოცემა მოსკოვიდან), 08.10 — საბჭოთა კავშირის ხალხთა მუსიკა, 10.00 — ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.05 — შ. მშვილიძე. ოპერების ნაწყვეტები, 11.45 — საუბარი „მყარი საკვები ბაზა — მეცხოველეობის განვითარების მთავარი პირობა“, 12.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 12.25 — „პოეზია უპირველეს ყოვლისა“ — ვაჟა-ფშაველას ლექსები, 12.30 — ნ. გუდიაშვილი. სონატინა, 12.40 — კომენტარი საერთაშორისო თემაზე, 12.45 — მღერის ე. პიეხა, 13.15 — ამინდის ბიუროს ცნობა, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მოწინავე სტატია, 17.15 — მოსწავლეთათვის. რადიოთადგმა „იაკობ გოგებაშვილი“, 18.05 — ო. თაქთაქიშვილი. ვოკალური ციკლი ს. ჩიქოვანის ლექსებზე, 18.45 — მსუბუქი მუსიკა, 19.00 — „რუსთაველის მეტალურგიული ქარხანა მეათე ხუთწლედში“, 19.15—ქართული ხალხური სიმღერები, 19.45— ო. თევდორაძე. „ქართული სიუიტის“ ფრაგმენტები, 20.20 — ქ. ბიზე. ოპერა „კარმენი“, 23.30 — ბ. ჩიმაკაძე. სიმღერები.

თეატრები

11 იანვარი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — **გედის ტბა** (დღისით 1-ლი აბონ. მე-3 წარმოდგენა მოსწავლეთათვის), **ქეთო და კოტე** (საღამოს, მე-15 აბონ. მე-2 წარმოდგენა); შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **დაბრუნება** (დღისით), **კავკასიური ცარცის წრე** (საღამოს); **კოტე მარჯანიშვილის** სახელობის სახელმწიფო აკადემიური — **ჭრილ ოგბა** (დღისით), **თვალი ანტიოსანი** (საღამოს); **ვასო აბაშიძის** სახელობის მუსიკალური კომედიის—**ნაცარქექია** (დღისით), **პაემანი ცაში** (საღამოს); **საქართველოს** მინიატურების სახელმწიფო — **ნაპრები** (დღისით). **ზოგიერთის მზის დაბნელება საქართველოში** (საღამოს).

ოა ეწარმოთ, ოა მოეთხრობოთ